

აქტიური განრიდების ამოცანის დასწავლის განსხვავებული  
პროტოკოლის შედარებითი კვლევა ვირთაგვებში

მარიამ ქუმსიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე,  
მეცნიერების მაგისტრის ნეირომეცნიერებებში კვალიფიკაციის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები,  
ნეირომეცნიერებები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ონიანი, სრული პროფესორი, ბმად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ქუმსიაშვილი

26 ივლისი 2023

## აბსტრაქტი

აქტიური განრიდება ადაპტური ქცევაა, რომელიც ინდივიდის გადარჩენაში მნიშვნელოვან როლს ითვისებს, თუმცა შესაძლოა მისი არაადაპტური ფორმის განვითარებაც, რაც ადამიანებში რიგ მენტალურ დარღვევებში გამოიხატება.

ლეონ კამინმა შეისწავლა აქტიური განრიდების ამოცანაში პირობითი და უპირობო სტიმულების მნიშვნელობა ამოცანის დასწავლის ხარისხზე ამ პარამეტრების ცვლილების მეშვეობით. წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს თავდაღწევის ქცევის გამოვლინებისას პირობითი სტიმულის დროითი პარამეტრის გახანგრძლივების გავლენა აქტიური განრიდების დასწავლისა და გახსენების პროცესებზე.

კვლევა ჩატარდა ზრდასრულ, თეთრ უჯიშო, ორივე სქესის ვირთაგვებზე. კვლევისთვის გამოყენებული იყო ორმხრივი აქტიური განრიდების ტესტი მოდიფიცირებული პროტოკოლით (პირობითი სტიმულის 5 წმ-იანი გახანგრძლივება თავდაღწევის ქცევის გამოვლინებისას).

ჩვენს მიერ შეცვლილი პროტოკოლიან 25 შეუღლებიანი არასრული დასწავლის აქტიური განრიდების ტესტში გახსენების მრუდში კამინის ეფექტის გამოვლინება ხდება, თუმცა უფრო არამყისიერად ვიდრე სტანდარტული პროტოკოლის დროს.

აქტიური განრიდების ამოცანის დასწავლაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს თავდაღწევის და განრიდების ქცევებისას გამოყენებული პირობითი სტიმულის პარამეტრები.

*საძიებო სიტყვები: აქტიური განრიდება, კამინის ეფექტი, პირობითი გამლიზიანებლი, მუხსიერების კონსოლიდაცია, თავდაღწევის ქცევა, განრიდების ქცევა.*

## Abstract

Active avoidance is one of the key characteristic of adaptive fear, but it can take a maladaptive form, which is connected to different mental disorders.

Leon Kamin studied unconditioned and conditioned stimulus role in active avoidance behavior learning, while modifying those parameters in the active avoidance test. The goal of the following study was to study the impact of the delayed unconditioned stimuli on the learning and retrieval processes of active avoidance.

The subjects were adult, both gendered, wild albino rats. The study used two-sided active avoidance test with modified protocol (5 second delayed unconditioned stimuli in escape trials only)

The retention curve of incompletely learned active avoidance (25 trials) protocol modified by us showed the Kamin effect, but in moderate form than in a standard protocol.

Unconditioned stimuli parameters plays an important role in active avoidance behavior learning process both in escape and avoidance trials.

***Key words:*** *active avoidance, Kamin effect, unconditioned stimuli, memory consolidation, escape, avoidance.*